პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 37 (2080) კვირა, 15 სექტემბერი 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობა ციმბირსა და ყაზახეთში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა იმოგზაურა დასავლეთ ციმბირის, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ნავთობისა და გაზის მომპოვებელ რეგიონში.

ტიუმენში ჩატარდა ტიუმენისა და ტომსკის ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ნავთობისა და გაზის მომპოვებელ საწარმოებს, შეხვდა მბურღავებს, მემონტაჟეებს, მშენებლებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. საუბრების დროს მიმდინარეობდა დაინტერესებული სჯა-ბაასი ნავთობის მოპოვების გადიდების გზების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში მიღებულ გადაწყვეტილებას „1986-1990 წლებში დასავლეთ ციმბირში ნავთობისა და გაზის მრეწველობის კომპლექსური განვითარების შესახებ". აღინიშნა, რომ ამ საქმეში უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები თანამედროვე ნავთობგაზის სარეწი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური დანადგარების გამოშვების დროს.

მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ყაზახეთის სსრ ცელინოგრადის რაიონს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის საშუალებით თვალყურს ადევნებდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობას. დიდი ყურადღებით გაეცნენ პრესაში გამოქვეყნებულ ტიუმენისა და ტომსკის ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## უხეში დარღვევებისათვის პასუხს აგებენ

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში უხეში დარღვევების საკითხი.**

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში დაშვებული უხეში დარღვევების ფაქტები.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად წარმოების მოუწყვეტლივ უწინარეს ყოვლისა სხვა კატეგორიებთან ერთად ირიცხებიან პირები, რომლებსაც აქვთ არჩეული სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ეჟვსი თვის სტაჟი. მომავალი აბიტურიენტების ცალკეული მშობლები, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უკანონო ხელშეწყობით თავიანთ შვილებს აწყობდნენ თანამდებობებზე, რომლებიც არ შეიძლება დაიკაონ მოსწავლეებმა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მიღების მიზნით, რაც იძლევა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უპირატესი ჩარიცხვის უფლებას.

თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და მიმღები კომისია, გამოიჩინეს რა ამ საკითხისადმი შეუწყნარებელი ფორმალური მიდგომა პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟად უთვლიდნენ უფროსკლასელებს იურისკონსულტებად, იურისტ-პრეტენზიონისტებად, კადრების განყოფილებათა ინსპექტორებად მუშაობას დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და შეღავათიანი პირობებით რიცხავდნენ ასეთ აბიტურიენტებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

წელს 38 აბიტურიენტი, რომლებიც შედიოდნენ იურიდიულ ფაკულტეტზე წარმოების მოუწყვეტლივ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლას უთავსებდა მუშაობას ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც აძლევდა შესაძლებლობას შეღავათიანი პირობებით ჩარიცხულიყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათგან 18 აბიტურიენტმა მოაგროვა გამსვლელი ქულა, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის გადაწყვეტილებით მათი ჩარიცხვა შეჩერდა.

შეუწყნარებელ მოქმედებაში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში, მორალურ-ეთიკური ნორმების უხეშ დარღვევებში გარეული აღმოჩნდა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც. მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. ტაკიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0.5 საშტატო ერთეულზე იურისკონსულტად მუშაობას მახარაძის საფუთავ ქარხანაში (სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. ნ. ლ. ჰელიძე).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტკომის მდივნის ამხ. ე. პ. სამხარაძის ქალიშვილი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (უფროსი ამხ. ჯ. ა. შენგელია).

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მოადგილის ამხ. ნ. კ. ჯაველიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0.5 საშტატო ერთეულზე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობას „თბილგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში (ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ა. ბიწაძე).

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. წიქარიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას „საქსოფლდამზადების" ლაგოდეხის გაერთიანებაში (თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ამხ. ნ. ნ. პაპაშვილი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შემდგომი გაჯანსაღებისათვის, დისციპლინის განმტკიცების, ოჯახის სიწმინდის, მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ბრძოლის ვითარებაში უპასუხისმგებლობის, პროტექციონიზმის, მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები უთუო გაკიცხვას იმსახურებს.

პროტექციონიზმის ფაქტების დაშვებისათვის, შვილების აღზრდისადმი მცდარი, კომუნისტებისა და ხელმძღვანელებისათვის შეუფერებელი დამოკიდებულებისათვის სკკპ წევრები:

— მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტ. ტაკიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ე. პ. სამხარაძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების რედაქტორის მოადგილე ნ. კ. ჯაველიძე გაირიცხნენ სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდნენ თანამდებობიდან;

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ი. წიქარიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

## ЗАВЕРШАЮЩЕМУ ГОДУ ПЯТИЛЕТКИ — ОТЛИЧНУЮ СЛУЖБУ



Старший лейтенант милиции Г. Брачули в органах внутренних дел уже тридцать лет. А начинал он рядовым. Тяга к знаниям была у молодого милиционера велика. Стал учиться. Получив образование, звание, он не изменил родному подразделению. Сейчас старший лейтенант милиции Г. Брачули — командир одного из подразделений по охране сооружений водоснабжения УВД Тбилгорисполкома.

**НА СНИМКЕ: старший лейтенант милиции Г. Брачули инструктирует старших сержантов милиции А. Брачули, В. Хугаева, Т. Хубашвили перед заступлением в наряд.**

Фото С. Сычева.

# ПЬЯНСТВО ЗА РУЛЕМ — ПРЕСТУПНО

**Трудно представить сегодня нашу жизнь без автомобильного транспорта, которым в 1984 году перевезено 25,9 миллиарда тонн народнохозяйственных грузов, 46 миллиардов пассажиров. В том же году только население приобрело около 1,5 миллиона легковых автомобилей и 1,2 миллиона мотоциклов и мотороллеров.**

**Машины облегчают нашу жизнь. Но лишь в том случае, если мы пользуемся ими правильно, со знанием дела. В противном случае автомобиль из друга превращается во врага. Но, конечно, не сам по себе, а по вине человека. Особенно, если этот человек пьян.**

**О последствиях пьянства на дорогах и о мерах, предупреждающих это зло, беседует начальник Главного управления Госавтоинспекции МВД СССР, ответственный секретарь Всесоюзной комиссии по обеспечению безопасности дорожного движения, генерал-майор Леонид Васильевич ЗВЕРКОВСКИЙ.**

**В Указе Президиума Верховного Совета РСФСР «О мерах по усилению борьбы против пьянства и алкоголизма, искоренению самогоноварения» есть глава об ответственности за управление транспортными средствами в состоянии опьянения. Подобные Указы приняты и в других союзных республиках. Скажите, Леонид Васильевич, чем это вызвано?**

— Прежде всего условимся, что, говоря слово дорога, я буду иметь в виду не просто проезжую часть, а транспортный конвейер страны. С этой точки зрения дорога в развитии народного хозяйства играет огромное значение. Без четкой работы автотранспорта нельзя всерьез говорить об интенсификации производства.

Каждый понимает, сколько вреда может принести нетрезвый рабочий у станка. Но во сто крат опаснее нетрезвый человек за рулем автомобиля. Вот почему решения партии и правительства о преодолении пьянства и алкоголизма рассматриваются нами как основа для укрепления дисциплины среди участников дорожного движения.

Истины ради скажу, что в расчете на тысячу автомобилей основные показатели аварийности из года в год снижаются, но это не может успокаивать.

**— Постоянно увеличивается число автомашин, находящихся в личном пользовании. Как ведут себя на дорогах их владельцы?**

— Конечно, большая часть водителей индивидуального транспорта — это люди с большим чувством ответственности. Они понимают, что дорога живет по своим законам, что все водители обязаны их хорошо знать и строго соблюдать.

Однако находится и немало таких, которые, даже зная правила, допускают их нарушение. Некоторые водители личных машин нарушают скоростной режим, создают аварийные ситуации. В 1984 году увеличение общего количества аварий в стране произошло в основном за счет индивидуальных владельцев. В отдельных республиках удельный вес аварий на транспорте индивидуальных владельцев достиг 65—70 процентов.

В Тюменской области в 1982 году владельцами личных автомашин было совершено дорожно - транспортных происшествий 488, в 1983 г. — 804, в 1984 г. — 968. Почти половина из них связана с алкогольным опьянением водителей. Такое положение дел, конечно, тревожит. Но и удивляет. Владельцы личного транспорта, как правило, очень бережно относятся к своему дорогостоящему приобретению. Даже украшают, как второй дом. О чем же они думают, когда в пьяном состоянии садятся за руль? На что надеются? Ведь медицина доказала, что состояние даже легкого опьянения порождает бесшабашность, толкает к лихачеству и неуместной удали. Забывая об осторожности, такие «герои» превышают допустимую скорость, не успевают отреагировать должным образом на изменение ситуации на магистрали. У пьяного нарушаются зрительная и слуховая реакция. Словом, опасности подстерегают его на каждом шагу. И уже если в случае аварии удастся остаться живым и невредимым, то редко в такой ситуации не страдает автомобиль. А главное — нетрезвый водитель для других представляет опасность.

**— В чем же вы, Леонид Васильевич, видите основную причину того, что значительное число аварий на дорогах (надо сюда включить и происшествия на железнодорожных переездах) происходит по вине нетрезвых водителей?**

— Одна из причин этой большой социальной беды в безответственности людей, имеющих право водить транспортные средства. Вторая — в слабой профилактической и воспитательной работе в трудовых, учебных коллективах, среди владельцев индивидуальных автомашин. Несовершеннолетних среди водителей нет. Тем не менее чаще всего совершают аварии, будучи нетрезвыми, водители в возрасте от 19 до 26 лет. Получается, что эти зрелые в физиологическом плане люди не созрели социально как граждане.

(Окончание на 2-й стр.).

К 108-й ГОДОВЩИНЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ ФЕЛИКСА ЭДМУНДОВИЧА ДЗЕРЖИНСКОГО

—◆—

«Юноше, обдумывающему житье,
Решающему,
сделать бы жизнь с кого,
Скажу,
не задумываясь:—Делай ее
С товарища Дзержинского».

В. МАЯКОВСКИЙ.

# НА ПОСТУ НАРКОМА ВНУТРЕННИХ ДЕЛ

30 марта 1919 года стало памятной датой в жизни выдающегося деятеля Коммунистической партии и Советского государства, пламенного борца за коммунизм Феликса Эдмундовича Дзержинского. Именно в этот день ВЦИК назначил героя Октября, соратника великого Ленина народным комиссаром внутренних дел РСФСР.

С работой наркомата Феликс Эдмундович был знаком уже давно, являлся членом комиссии еще с 17 ноября 1917 года В те первые послеоктябрьские дни Дзержинскому поручили важное и неотложное дело — организацию снабжения населения продовольствием. Саботажники не выполняли постановлений Советской власти, запутывали учет и делопроизводство, прятали продукты питания.

Энергичные меры, принятые НКВД и Военно-революционным комитетом к злостным саботажникам, широкая разъяснительная работа среди служащих, чистка аппарата от антисоветских элементов позволили наладить деятельность Народного комиссариата продовольствия. Самоотверженный труд Дзержинского позволил спасти от голода и холода миллионы советских людей.

А на повестке дня был уже другой, не менее злободневный вопрос — обеспечение порядка в столице Советского государства. На одном из заседаний коллегии Феликс Эдмундович взял инициативу его решения на себя. Все взвесив и обдумав, он принимает решение о необходимости создания комитета по охране Петрограда. Вскоре такой комитет начал действовать.

Ожесточенная классовая борьба, развернувшаяся сразу после перехода власти в руки Советов, являлась наглядным подтверждением того, что потребуются неотложные меры, чтобы выстоять и победить. Мало было совершить революцию. Нужно было ее отстоять.

7 (20) декабря 1917 года Совнарком принимает постановление об организации Всероссийской Чрезвычайной комиссии по борьбе с контрреволюцией и саботажем. На трудный и ответственный пост председателя ВЧК назначается Феликс Эдмундович Дзержинский.

Почти все крупные заговоры были раскрыты с помощью населения. Так, к примеру, благодаря заявлению в ВЧК учительницы одной из Московских школ была разоблачена крупная вражеская организация «Национальный центр».

Под руководством Дзержинского ВЧК самоотверженно выполнила свою задачу, являясь щитом и мечом пролетарской революции.

В своей деятельности Феликс Эдмундович много сил



и энергии отдал налаживанию правильных, деловых отношений между органами ВЧК и НКВД, благодаря чему удалось добиться хорошего взаимодействия чекистских органов и милиции. Такой подход способствовал успешному решению вопросов охраны общественной и государственной безопасности на местах. Органы милиции и уголовного розыска укреплялись чекистскими кадрами. Милиции и уголовному розыску были частично переданы функции чрезвычайных комиссий по борьбе со спекуляцией и должностными преступлениями.

Окончание гражданской войны и переход к мирному строительству требовал дальнейшего совершенствования структуры Наркомата, четкого определения его задач в новых условиях. Феликс Эдмундович продолжал работу по совершенствованию аппарата, вносил конкретные предложения по улучшению его работы.

ВЦИК РСФСР в феврале 1922 года упраздняет ВЧК и образовывает Государственное политическое управление при НКВД. Нарком становится и председателем ГПУ, а функции наркомата значительно расширяются.

Дзержинский заботится о том, чтобы работа НКВД строилась на основе научной организации труда, отмечалась четкостью, оперативностью.

Учитывая, что Советской республике приходилось вести борьбу не только с внешней, но и с внутренней вооруженной контрреволюцией — врагом жестоким и опасным, Дзержинский считал одной из важных задач создание специальных внутренних войск. 21 июля 1919 года он утвердил их структуру и штаты.

По инициативе Феликса Эдмундовича к концу гражданской войны и иностранной военной интервенции все войска внутренней службы были сосредоточены в одном ведомстве. Это позволило использовать их на важнейших участках в случае необходимости оперативно маневрировать силами и средствами.

Дзержинский принимал деятельное участие в осуществлении ленинского плана создания и укрепления рабоче-крестьянской милиции. Нарком внутренних дел непосредственно участвовал в выработке форм организации милиции, ее командования, обучения и оперативного использования.

Рассматривая милицию как орган, тесно и неразрывно связанный с массами, олицетворяющий глубоко народную, гуманную природу Советской власти, Ф. Э. Дзержинский сформулировал основные требования, которым должны соответствовать милицейские кадры. В пятую годовщину советской милиции, в ноябре 1922 года, Феликс Эдмундович обратился к сотрудникам милиции с письмом, в котором говорилось: «Чтобы стать хорошим милиционером... надо непрестанно работать над обогащением своего ума знаниями, которые дадут... возможность честно стоять на страже революционной законности и сознательно проводить в жизнь все мероприятия Советской власти.. Понятие и представление о милиционере у населения должно быть связано только с честностью, справедливостью, вежливостью, законностью, культурностью и прочими лучшими качествами безупречных людей».

Память о Феликсе Эдмундовиче Дзержинском вечна. Она в повседневных делах часовых правопорядка, направленных на укрепление и процветание Родины. Она в гордом слове — дзержинцы, которым называют себя сегодня сотрудники милиции.

# ინტერვიუ ტელეფონით

**მოგვცა ბორჯომის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ო. მანჯავიძემ, რომელსაც ვთხოვეთ მოკლედ მოეთხრო განყოფილების მუშაობაზე.**

* * *

**მიმდინარე** წლის გასულ პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ბორჯომის არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში. გავატარეთ ტექნიკური ღონისძიებები სხვადასხვა ობიექტის პულტზე ჩასართავად. გეგმით გათვალისწინებულ ობიექტებზე დაინერგა და კაპიტალურად შეკეთდა სახანძრო დაცვის სიგნალიზაცია. პულტზე ჩავრთეთ მოქალაქეთა რამდენიმე ბინა. განყოფილებაში შეკეთდა ტექნიკა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით თანამშრომელთა დისციპლინას და ოპერატიული მუშაობის სრულყოფას. დაცვის მუშაკებმა საანგარიშო პერიოდში გამოავლინეს ქურდობა-დატაცების ათობით ფაქტი. სულ ახლახან ჩვენმა თანამშრომლებმა ცხელ კვალზე გახსნეს ქურდობის მცდელობის ფაქტი „კურორტვაჭრობის" საწყობში.

ჩვენ კვლავ ვეცდებით ცხელ კვალზე მომავალშიც გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ წვრილმანი დატაცების ფაქტები სამრეწველო ობიექტებზე და ცხოვრებაში განვახორციელებთ პარტიისა და მთავრობის მითითებებს, საკავშირო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნებს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

# ახალგაზრდობა მართლწესრიგის სამსახურში

**გაიმართა** აჭარის ასსრ კომკავშირული აქტივისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების XVI რესპუბლიკურ კომკავშირულ ორთვიურთან დაკავშირებით, რომელმაც სტარტი აიღო პირველ სექტემბერს.

ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი შ. აბაშიძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. თარგამაძე, აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე ლ. ჭანტურაია, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ტაკიძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე დ. მიქელაძე, ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე ა. როდინაძე, ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი მ. შაინიძე და სხვები.

თათბირზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, უმაღლესი პროფესიულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების საქმიანობა. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკასა და თავიდან აცილებაში, სამართლებრივი პროპაგანდის განხორციელებაში, ახალგაზრდებში საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური მართლწესრიგისადმი პატივისცემას, სოციალისტური ცხოვრების ნორმების ნებისმიერი დარღვევის მიმართ შეურიგებლობის გრძნობის აღზრდაში.

ამის მიუხედავად, სამართალდარღვევებთან ბრძოლის შედეგები ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს. კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდებს შორის მუქთახორობასთან, ხულიგნობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ახალგაზრდობის ნაწილისადმი უმეთვალყურეობის საკითხი, რასაც ხშირად სავალალო შედეგები მოსდევს.

ეს კი იმას მოწმობს, რომ კომკავშირული ორგანიზაციები სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და და თავიდან აცილებისათვის ყოველთვის როდი მუშაობენ ერთობლივად, მათი მოქმედება ხშირად კამპანიურობისა და ფორმალობის ხასიათს ატარებს.

**საზოგადოებრივი** წესრიგის განმტკიცება, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება შინაგან საქმეთა ორგანოების უმთავრესი საზრუნავია. საკურორტო სეზონზე აჭარის ზღვისპირეთში ტურისტთა და დამსვენებელთა სიჭარბე, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობა რომ გაითვალისწინა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ინიციატივით, პარტიის

## „კურორტი—85"

ბათუმის საქალაქო კომიტეტის და საქალაქო აღმასკომის მხარდაჭერით, 27 აგვისტოდან ბათუმში დაიწყო პროფილაქტიკური რეიდი „კურორტი-85".

ქალაქი დაიყო სექტორებად, თითოეულ სექტორზე მიმაგრებულია შს სამინისტროს განყოფილებათა პასუხისმგებელი მუშაკები. ისინი შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებასთან და საზოგადოებრივ აქტივთან ერთად ქალაქში ავლენენ მუქთახორებს, მაწანწალებს, სპეკულანტებს, სახელმწიფო ქონების წვრილმან და სხვა სახეობის დატაცებებს, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევებს, აზარტულ მოთამაშეებს, ბრაკონიერებს, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესებისა და სხვა დარღვევებს.

რეიდის მიზანი ერთია — ჩვენს ირგვლივ მშვიდი და მყუდრო გარემოს შექმნა, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის კიდევ უფრო გაჯანსაღება.

**რ. დიასამიძე,**

**აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი.**

# ПЬЯНСТВО ЗА РУЛЕМ— ПРЕСТУПНО

**(Окончание. Начало на 1-й стр.).**

Некоторые министерства, ведомства, предприятия и организации, в чьем ведении находится транспорт, не уделяют должного внимания предотвращению аварийности. Например, ослаблена работа по профилактике происшествий по вине нетрезвых водителей на предприятиях и организациях Российской Федерации — Минсельхоза, Мингеологии, Минводхоза, Роспотребсоюза, Минлесхоза, Межколхозстрой объединения. Руководители, инженерно - технические работники транспортных предприятий не всегда выявляют лиц, склонных к употреблению спиртных напитков.

**— Что предпринимается для улучшения деятельности органов автоинспекции в обеспечении безопасности движения?**

— Прежде всего постоянно повышается требовательность ко всему личному составу подразделений ГАИ. Этот вопрос специально обсуждался на расширенном заседании коллегии МВД СССР. Была проанализирована работа органов ГАИ по обеспечению безопасности движения, намечены меры для ее улучшения. А сделать предстоит многое. Ежегодно ГАИ на дорогах Российской Федерации выявляет свыше одного миллиона водителей, управляющих транспортом в нетрезвом состоянии. Однако в ряде органов внутренних дел и ГАИ к данной категории нарушителей правил дорожного движения применяются недостаточно строгие меры. В 1984 году в РСФСР только 44 процента таких водителей были лишены прав. Такое положение отмечено в органах внутренних дел Бурятской, Кабардино-Балкарской, Северо-Осетинской АССР, Орловской, Смоленской, Читинской областей.

**— Вы считаете, что сокращение дорожно - транспортных происшествий, в том числе и по вине нетрезвых водителей — задача вполне реальная. Хотелось бы услышать о положительных примерах борьбы с пьянством этой категории населения.**

— На Всесоюзной научно-практической конференции «Проблемы совершенствования деятельности ведомственных служб безопасности дорожного движения», состоявшейся в конце октября 1984 года в Москве, говорили об опыте предупреждения дорожно - транспортных происшествий на предприятиях Минавтотранспорта Украинской ССР. Аварийность по вине водителей здесь за период с 1970 по 1983 год уменьшилась на 41 процент, а по вине нетрезвых шоферов — на 74 процента. В 1983 году аварии, совершенные в таком состоянии водителями, составили лишь 2,9 процента.

Такое снижение аварий, несмотря на значительное увеличение объемов перевозок народнохозяйственных грузов и пассажиров, на рост интенсивности движения на дорогах республики, конечно, заслуживает внимания.

Сейчас самое важное в предупреждении дорожно-транспортных происшествий по вине пьяных водителей— чтобы начатая так активно борьба с этим злом не затухала со временем, а принимала все более широкие масштабы, чтобы пьяницы и алкоголики перестали жить спокойно. Хватит благодушничать. Пьяный за рулем— это, как правило, трагедия, которая может коснуться каждого из нас, наших детей, родных и близких.

**(Печатается с сокращениями из журнала «Агитатор», № 17, 1985 г.).**

# ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელების მიზნით, სადგურ ხაშურის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობამ, პოლიტიკურმა სამსახურმა და პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის. სათანადო ყურადღება დაეთმო პარტიული ორგანიზაციის მუშაობას პარტიული კრებების და ბიუროს მომზადების საქმეს, განსახილველი საკითხების აქტუალობას. პარტიული ორგანიზაციის სისტემატური ყურადღების არეშია სოციალისტური კანონიერების და დისციპლინის განმტკიცების საკითხები, მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი კონტროლი და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ინდივიდუალურ-აღმზრდელობით და სადამრიგებლო მუშაობას. დიდია ამ საქმეში მარქსისტულ-ლენინური სისტემის სკოლების როლი, სადაც ჩაბმულია განყოფილების ყველა თანამშრომელი. საუკეთესო ოპერატიული შედეგების მისაღწევად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. შემუშავებულია კადრების შერჩევისა და განაწილების ღონისძიებათა გეგმა.

მუდმივი ყურადღების ცენტრშია ტრანსპორტზე ტვირთების დატაცებისა და მასთან ბრძოლის საკითხები.

მართალია დანაშაულობათა საერთო რაოდენობა სამოქმედო უბანზე შემცირებულია, მაგრამ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა ისეთ დანაშაულობათა მატებისა, როგორიცაა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. საჭირო შეიქმნა გაგვეტარებინა საგანგებო ღონისძიებანი. დაისახა გეგმა, შეიქმნა ოპერატიული მუშა ჯგუფი. ჩვენმა თანამშრომლებმა მატარებელში პირადი ქონების ქურდობისათვის დააკავეს არაერთხელ ნასამართლევი ზესტაფონელი ჯ. გაბრიჭიძე, ქუთაისელი შ. ხურსიძე, მახაჩყალელი მ. მაგომედოვი და სხვები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით რეგულარულად ვხვდებით წარმოება-დაწესებულებების მუშამოსამსახურეებს. სალამოს საათებში კავშირის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელობასთან ერთად სპეციალური გრაფიკით ვაკეთებთ შემოვლებს სადგურის ტერიტორიაზე.

სტატისტიკური მონაცემებით შედეგები ურიგო არა გვაქვს, მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი და ნაკლოვანება გაგვაჩნია, რომელთა აღმოსაფხვრელად დაძაბული შრომა მოგველის. ჩვენი განყოფილების თითოეული მუშაკი ყველაფერს გააკეთებს, რათა განამტკიცონ სამსახურებრივი დისციპლინა და აქტიურად, იბრძოლონ სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებისათვის.

**ა. შეყრილაძე,**
**სადგურ ხაშურის შს განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

# ПОВЫШАЯ ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ МАСТЕРСТВО

Почти 2 года отделяет нас от того дня, когда был создан Марнеульский городской отдел внутренних дел. Вполне естественно можно поставить вопрос: почему же все-таки решили образовать самостоятельный отдел внутренних дел со всеми его службами, подразделениями и многочисленным личным составом, а не какое-нибудь подчиненное отделение? Ведь этот город в недавнем прошлом обслуживался всего одним инспектором уголовного розыска и двумя участковыми инспекторами. Попытаемся ответить: потому что за последние годы резко изменилась экономическая структура Марнеули, интенсивно возросла и растет насыщенность города, как производством, так и населением. Не секрет тот факт, что сегодня по производству валовой продукции г. Марнеули равняется 2—3 районам г. Тбилиси, вместе взятым. Город Марнеули является объектом новостроек широкого профиля.

Заводы и фабрики, все то, что они производят, стройки и строительные материалы, жилой сектор и административные здания, все государственное и общественное имущество, личная собственность наших горожан должны надежно охраняться от преступных посягательств, пожаров и стихийных бедствий. Необходимо создать неприступный заслон на пути хищений и бесхозяйственности, приписок и очковтирательств, спекуляции и разбазаривания народного добра. Должны быть гарантированы охрана жизни и здоровья, права, честь и достоинство, труд и отдых граждан. И если уж случится осуществление злого умысла, то необходимо обеспечить быстрое раскрытие и качественное расследование преступлений с целью неизбежного наказания преступника.

Горотдел формировался и развивался под пристальным вниманием и при большой поддержке как со стороны горкома партии, так и руководства министерства.

Большие и ответственные задачи стоят перед нами. Несомненно, их можно выполнить лишь при условии высокой сознательности со стороны каждого сотрудника и высокой ответственности за порученное дело. И тут уместно вспомнить слова Присяги, принятой каждым из нас: «...переносить все тяготы и лишения и при необходимости во имя служения нашей Родине и народу пожертвовать даже самой жизнью...». Ясно, что эта клятва наполняется смыслом лишь при идейной закалке и высоком морально - политическом облике сотрудника милиции. К сожалению, некоторые сотрудники почему-то «забывают» присягу, служебный долг и становятся на позиции, неприемлемые для нашей службы. Так, старший участковый инспектор коммунист Г. И. Алиев, под руководством которого находятся участковые инспектора ГОВД, разводит руками и заявляет: «Они меня не слушаются». Начинаешь разбираться и убеждаешься, что это просто отговорки, а иногда и демагогия. На деле — это неправильный подход к подчиненным, неумение руководить людьми, а иногда и нежелание. Благодаря такому отношению Г. Алиев по сути дела провалил данный участок работы. К сожалению, есть и такие, которые строят из себя, так называемого «доброго дядю», т. е. не хотят портить ни с кем отношения и в конечном итоге оказываются в «болоте» панибратства. Этой болезнью страдал начальник отделения уголовного розыска И. Велиев. То же самое наблюдается и в инспекции Госпожнадзора, ОБХСС и в других службах. Мы все еще не смогли изжить факты пустозвонства и болтливости, о которых говорится почти на каждом оперативном совещании. Сотрудник милиции, утерявший бдительность, самолюбие и гордость за свою профессию, уже не сотрудник, а так себе — легкая добыча тех, с кем он призван вести непримиримую борьбу.

У нас есть и хорошие сотрудники, на которых можно равняться. Это — коммунисты Рамаз Капанадзе, Георгий Гаспарян, Роланд Гвирджишвили, Игорь Саакян, Джони Чохонелидзе, Вахид Хубанов, Нурадин Наврузов, Надир Юсубов и многие другие. Особо хочется подчеркнуть заслуги коммуниста - ветерана Тофика Гаджинова, который своим беззаветным служением Родине, исключительной партийной принципиальностью и порядочностью завоевал огромный авторитет среди населения города и личного состава.

В настоящее время составлен план конкретных мероприятий по всем направлениям деятельности ГОВД, которые предусматривают коренное улучшение оперативно - служебной деятельности, морального состояния личного состава, повышения его боеспособности и профессиональной подготовки. Руководство ГОВД сделает все для беспощадной борьбы с преступностью и искоренения правонарушений в городе.

**Б. САЛУКВАДЗЕ,**
**начальник Марнеульского ГОВД, майор милиции.**

ФОТОРЕПОРТАЖ

# «УКРОТИТЕЛИ» ОГНЯ

Огонь. По легенде он был украден Прометеем у богов Олимпа и подарен людям. Как зеницу ока они берегли его. Древний человек не давал затухнуть алым язычкам пламени. Для него огонь был единственной возможностью уцелеть, выжить.

Прошли века и огонь уже не играет столь важной роли в нашей жизни. Однако он еще служит человеку, рожденный по его воле. Но есть огонь другого рода — рожденный по неосторожности. Этот огонь способен в считанные минуты, часы уничтожить то, что создавалось







человеком годами, десятилетиями. И он, человек, научился укрощать его. Сначала просто ведрами с водой. С годами же техника пожаротушения становилась все эффективней и сложней.

Сегодня, чтобы стать пожарником, надо учиться. С каждым годом техника становится все сложней, появляются новые ее виды — и учиться, повышать свою квалификацию приходится постоянно.

В Учебном центре УПО МВД ГССР для этого есть все условия. Прекрасно оборудованные стендами и макетами классы дают возможность слушателям быстро овладеть азами пожарной науки. Здесь же занимаются и переподготовкой работников пожарной охраны.

Командно - преподавательский состав Учебного центра полностью укомплектован специалистами с высшим специальным образованием. Поэтому и уровень знаний, которые получают слушатели, высок.

Много внимания уделяется и практическим занятиям. При центре имеется пожарная часть, где несут службу слушатели.

Тот день, когда мы побывали в Учебном центре, был вполне обычный. В классах велись занятия по организации профилактической работы, по пожарно-техническому оборудованию, а во



дворе отрабатывали выезд дежурного караула по тревоге... Обычный день Учебного центра.

**В. МИРОШНИЧЕНКО.**

**НА СНИМКАХ:** будни Учебного центра.

Фото С. Сычева.

# ათეისტური პროპაგანდა ქმედითი რომ იყოს

ფალსიფიკატორები მიზნად ისახავენ სოციალისტური წყობილების ავტორიტეტის შელახვას.

საამისოდ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა საკმაოდ უხვ ასიგნებებს გამოჰყოფს. ფალსიფიკაციას ემსახურებიან სხვადასხვა გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, სპეციალური ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების განყოფილებები და გაერთიანებები. ფალსიფიცირებული მასალის პროპაგანდას დიდ დროს უთმობენ რადიო და ტელეგადაცემები.

საზღვარგარეთ მოქმედებენ რელიგიის პროპაგანდის სპეციალური რადიოგადაცემების ცენტრებიც. ამ ცენტრებთან რელიგიური განყოფილებები სწორედ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა და ტექნიკის უახლესი საშუალებით აღიჭურვა. ამავე დროს ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა საშუალებით შემოაქვთ რელიგიური ლიტერატურა. ამ მიზნით ფართოდ იყენებენ „ახალ საკონტინენტთაშორისო იარაღს“ — ტურიზმს. ყოფილა შემთხვევები, როცა საბჭოთა კავშირში ტურისტული ნიღბით შემოსულ პირებს დასავლეთის სადაზვერვო ცენტრების დავალებით გაუვრცელებიათ მტრული „რელიგიური“ ლიტერატურა, სპეციალური ინსტრუქციები;

ასეთ პირობებში საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკეულ ნაშრომებში განვითარებული დებულებებისა და დასკვნების, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ფართო მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას ეწევიან მშრომელ მოსახლეობაში.

ლექტორთა დახელოვნებისა და დაოსტატების მიზნით ეწყობა ზონალური და რესპუბლიკური თათბირ-სემინარები.

ჩვენი ვალია კიდევ უფრო აქტიურად განვაგრძოთ მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდა, რომელიც გაამდიდრებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარს, ფორმებსა და მეთოდებს, ხელს შეუწყობს იმას, რომ ყველგან დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი — საქმიანი, შემოქმედებითი, ნოვატორული სტილი რომელიც განმსჭვალულია მაღალი იდეურობით, ყოველივე იმ ჩამორჩენილისადმი შეუწყნარებლობით, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის ნორმებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 36.

**ჯ. ჩხეიძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

**რედაქციისაგან:** ჩვენი პარტია და მთავრობა დღენიადაგ ზრუნავს საბჭოთა მშრომელების კეთილდღეობისათვის, იბრძვის სოციალისტური ცხოვრების წესებისათვის მიუღებელი ნაგატიური მოვლენების, მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ათეისტურ პროპაგანდას, მაგრამ ყველგან ერთნაირი ყურადღებით როდი უდგებიან მეცნიერული ათეიზმის სწავლებას, მოსახლეობაში დამკვიდრებული მავნე წეს-ჩვევების გამოვლენას. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ სტატიის გამოქვეყნება, რომელიც ყოვლისმომცველობაზე რასაკვირველია პრეტენზიას არ აცხადებს, მაგრამ იმედია მკითხველის შენიშვნებისა და სჯა-ბაასის თავწყარო უთუოდ იქნება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი მკითხველები, შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები ყურადღებით, მოეკიდებიან ჩვენს გამოსვლას და მოგვწერენ რა ღონისძიებებს ატარებენ ადგილებზე წარსულის მავნე გადმონაშთების გამოვლინებების პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის.

# დამსახურებული წარმატება

**ბოლო** დროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხალხური ცეკვის ანსამბლმა „მხედრულმა“ მრავალი კონცერტი გამართა ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობა. ანსამბლი გამოვიდა ფესტივალის გახსნის თეატრალიზებულ დადგმაში. ფესტივალის დღეებში „მხედრულმა“ კონცერტები ჩაატარა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების და მათი ოჯახების წევრებისთვის, მონაწილეობა მიიღო მოსკოვის პიონერთა სასახლეში გამართულ გალა-კონცერტზე და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამჟამად ანსამბლი ემზადება საქართველოს შს ორგანოების დანაყოფების რესპუბლიკური ფესტივალისათვის, რომელიც სექტემბრის ბოლოს გაიმართება. ნოემბერში „მხედრული“ წარსდგება საკავშირო ფოლკლორულ ფესტივალზე, რომელიც მცხეთაში ჩატარდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხალხური ცეკვის ანსამბლ „მხედრულის“ სამხატვრო ხელმძღვანელს მიხეილ დიმიტრის ძე კობეშავიძეს კულტურისა და ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.**



# ჩვენი გამოსვლის კვალდაკვალ

**მიმდინარე** წლის 11 აგვისტოს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო შს სამინისტროს სამორიგეო ნაწილისა და „მებრძოლი გუშაგის“ ერთობლივი რეიდის მიერ თიანეთის შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილში გამოვლენილ დარღვევებზე.

განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი დ. როხვაძე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გვატყობინებს:

**ჩვენმა, თიანეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირადმა შემადგენლობამ მიმდინარე წლის 28 აგვისტოს, ოპერატიულ თათბირზე განიხილა რეიდის მიერ განყოფილების სამორიგეო ნაწილის მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები. თათბირზე მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, რაიგანყოფილების ოპერატიული მორიგე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ხოსიაური და ოპერატიული მორიგის თანაშემწე, მილიციის ზემდეგი ო. ხუბაშვილი.**

**განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ოპერატიული მორიგის მიერ განსაკუთრებული შემთხვევის დროს. შემთხვევის ადგილზე ოპერატიული ჯგუფის დროულ და სრულ მზადყოფნაში გასვლის საკითხს.**

**კიდევ ერთხელ შესწავლილი იქნა პირადი შემადგენლობის მიერ სსრ კავშირის შს სამინისტროს ბრძანება „სამორიგეო ნაწილის მუშაობის შესახებ“.**

**თათბირზე ცალკეული სამსახურის ხელმძღვანელებს დაევალათ სისტემატიური კონტროლი გაუწიონ სამორიგეო ნაწილში არსებული დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანას, ასევე გაძლიერდეს მოადგილის პასუხისმგებლობა სამორიგეო სამსახურზე.**

**რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე გამოითქვა რწმენა, რომ განყოფილების სამორიგეო ნაწილის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები დროულად აღმოიფხვრება.**



# ВЕРНУЛИ НАДЕЖДУ

Гражданка Л., назовем ее так, ехала через Сухуми в Тбилиси в творческую командировку из Венгерской Народной Республики. Настроение было приподнятое. Через несколько часов ей, специалисту-картвелологу, предстояло соприкоснуться с историей Грузии, его народа, замечательными памятниками литературы и искусства, встретиться с тем, что она пропагандировала и передавала своему народу, чему посвятила свою жизнь и творчество. Казалось, ничто не могло омрачить ее настроения.

Но оставим на время гражданку Л. с ее мыслями, чувствами, настроениями и вернемся в дежурную часть линейного отделения внутних дел на станции Хашури.

...21 августа. 7 часов 15 минут утра. Из пункта милиции на ст. Карели было передано сообщение о том, что во время стоянки пассажирского поезда Сухуми — Тбилиси из купе, через открытое окно, неизвестный преступник похитил сумку, в которой находились паспорт, деньги, драгоценности и другие носильные вещи и скрылся.

7 часов 30 минут. Оперативная группа в составе заместителя начальника ЛОВД на ст. Хашури капитана милиции М. Мегрелишвили, сотрудников уголовного розыска майора милиции Г. Шарикадзе, капитана милиции А. Гонгадзе, участковых инспекторов по делам несовершеннолетних капитана милиции Г. Тижоева и старшего лейтенанта милиции З. Нозадзе, возглавляемая начальником ЛОВД майором милиции А. Шекриладзе, прибыла на место происшествия.

...Поезд, набирая скорость, продолжал свой путь дальше, увозя разочарованную пассажирку в Тбилиси. А для сотрудников милиции начались беспокойные будни, полные тревог, переживаний, неожиданностей, желания как можно быстрее раскрыть преступление.

Члены оперативной группы знали лишь приметы преступника: молодой парень, лет 16—18, среднего роста, худой, кавказской национальности, в темно-синей сорочке с короткими рукавами.

Работа предстояла кропотливая. Предложено несколько версий, каждую из которых необходимо было проверить. Начали проверять лиц, которые состояли на учете в Карельском, Хашурском и Горийском районах. Опросы, проверки, еще раз опросы. Круг проверяемых сужился. Внимание сотрудников уголовного розыска привлек некий Александр Турашвили, 1967 года рождения, учащийся Карельского профессионально-технического училища, который и раньше не отличался примерным поведением и свободное время проводил на железнодорожной станции. В беседе с сотрудниками милиции он признался в том, что совершил кражу сумки и бросил ее в болото.

Шли четвертые сутки поисков. Час ночи. Преступление раскрылось, преступник сознался в содеянном. Казалось, можно и отдохнуть. Но нет, точку ставить пока рано.

— Надо найти сумку, — решил А. Шекриладзе.

Члены оперативной группы пришли к тому месту, которое указал преступник, и, после долгих мучений, изъяли сумку из болота.

Теперь и расслабиться можно. Все осталось позади. Сумка с содержимым была возвращена владельцу, а вместе с тем восстановлена у гражданки Л. и вера в нашу республику, в ее добрых и честных людей.

А это так важно...

**А. ХУЦИШВИЛИ.**
**(Наш спец. корр.).**
г. Хашури.

სარედაქციო კოლეგია
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

# სახანძრო ტექნიკის სიახლენი

**ავსტრიაში** შექმნეს ახალი ცეცხლგამძლე მინა, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ არ გავრცელდეს არამარტო ცეცხლი და წვის პროდუქტები, არამედ მეზობლად მდებარე ნაგებობებს იცავს სითბური გამოსხივებისაგან. ახალი საშუალება შედგება სილიკატური მინის რამდენიმე ფენისაგან, რომელთა შორისაა სპეციალური დამცავი შემადგენლობის ფენა. 120 გრადუსზე მეტი ტემპერატურის გავლენით მინა კარგავს გამჭირვალობას — ეს დამცავი ფენა ქაფდება, რომელიც სითბოს ისრუტავს.

**სახანძრო** ავტომობილები ტრანსპორტის ნაკადში რომ უფრო შესამჩნევი იყვნენ ბავარიის (გფრ) სახანძრო და კატასტროფებისაგან დაცვის სამმართველომ გადაწყვიტეს შეცვალონ ტრადიციული წითელი ფერი ლიმონისფერ-ყვითელით.

**თანამედროვე** საწარმოთა საამქროებში და დიდ საწყობებში სულ უფრო მეტად გამოიყენება მცირეგაბარიტიანი მექანიზმები, რომლებსაც გააჩნიათ ხანძარსაქრობი საშუალებები.

**იუგოსლაველმა** სპეციალისტებმა შექმნეს მინიატურული ავტომობილი. მისი სიგრძეა 2,35 მ. სიგანე — 1,48 მ. აქვს ორი მოტოპომპა, ორი ცეცხლმქრობი, სახანძრო შლანგი 40 მ, ოთხმეტრიანი კიბე. ამის გარდა ავტომობილი აღჭურვილია ორი რადიოტელეფონით, ორი სასუნთქი აპარატით, საკაცით და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენი კომპლექტით.

# ОБЪЯВЛЕНИЕ

**21—22 СЕНТЯБРЯ 1985 ГОДА НА СТАДИОНЕ «ДИНАМО» ПРОВОДИТСЯ ЛИЧНО-КОМАНДНЫЙ ЧЕМПИОНАТ МВД ГРУЗИНСКОЙ ССР ПО АВТОМОБИЛЬНОМУ МНОГОБОРЬЮ.**

В программе соревнований — скоростное маневрирование и автомобильный слалом.

Участвуют команды МВД Абхазской, Аджарской АССР, УВД Юго-Осетии, г.г. Тбилиси, Кутаиси и др.

Начало соревнований в 10 часов.

# „თავისუფალი“ სამყაროს სახე



**უკვე მეხუთე წელია ვაშინგტონის ოფიციალური წარმომადგენლები მოუწოდებენ „საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“, მაშინ როდესაც აშშ-ს ტერიტორიაზე მოქმედებს ტერორისტების მოსამზადებელი სკოლები.**

**„ასოშიეტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით აშშ-ს ათამდე შტატში მოქმედებს პროფესიონალურ მკვლელთა მოსამზადებელი 25 ბანაკი. ალაბამის ტყეებში, კოლორადოს მთებში და არიზონის უდაბნოში ისმის აფეთქებების, ავტომატების სროლის ხმები, „დამრიგებელთა“ ბრძანებები, რომლებმაც სისხლიანი პრაქტიკა გაიარეს ვაშინგტონის ავანტიურებში. აქ ასწავლიან თვითმფრინავების, მატარებლების და ელექტროსადგურების აფეთქებას, პოლიტიკურ მოღვაწეთა მკვლელობას, პროგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ დივერსიების მოწყობას.**

**ამ სკოლებში აღზრდილები და „კონტრას“ ბანდები თავდასხმებს აწყობენ ნიკარაგუას ტერიტორიაზე, მონაწილეობენ სალვადორისა და ჰონდურასის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ჩატარებულ სადამსჯელო ოპერაციებში.**

**მათ შორის არიან ისინი, რომლებმაც მოაწყვეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა საბრასა და შატილას პალესტინელთა ბანაკებში, ვინც სასტიკად უსწორდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პატრიოტებს.**

**ჟურნალ „შტერნის“ ფოტოზე გამოსახულია ფლორიდის შტატის ტერიტორიაზე მდებარე „სკოლის“ ტერორისტთა ვარჯიში.**

**საკდესის ფოტოქრონიკა.**

# მკითხველთა საყურადღებოდ

**გრძელდება** ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე“ 1986 წლისათვის.

გაზეთი გამოიწერება მხოლოდ სამსახურის მისამართზე. წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

გაზეთზე ხელმოწერა შეუძლიათ, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, ასევე ნებაყოფლობითი სახალხო და ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულის წევრებს და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებს.

ხელმოწერისათვის მიმართეთ შესაბამის ადგილობრივ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს.

ფულის გადარიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილების ანგარიშზე № 000603105 საქ. კანტორის სახელმწიფო ბანკში.

# К СВЕДЕНИЮ ЧИТАТЕЛЕЙ

**ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ» НА 1986 ГОД.**

**Подписка годовая и оформляется только в служебный адрес.**

**Подписная цена — 3 руб. 12 коп.**

**На газету могут подписаться как сотрудники органов внутренних дел, так и члены ДНД, ОКОД.**

**За подпиской обращаться в городские и районные отделы внутренних дел.**

**Деньги перечислять на счет № 000603105 Грузконторы госбанка ФПО МВД ГССР.**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. **Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24** უე 08916
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. [illegible]